




**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მენეჯერის პარტნერი**

## **ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES OF GEORGIA**

# ରୋଗମାନୀଙ୍କ ପରିଚୟ

შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან  
მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი)  
დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და  
კონომიკური ეფექტიანობა.




თბილისი  
2014



# **საქართველოს სოფლის მეცნიერების აკადემიის სამსახურის განარჩევის**

ო ე ბ რ ა მ ე ნ ვ ა რ ი ბ ი

შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან  
მეცნველეობის არატრადიციული საკვების (ნეპერი)  
დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიკური  
ეფექტიანობა



თბილისი

2014 ვებგვ

## **რეკომენდაცია მოამზადეს:**

- გ. **ნიკოლეიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- ქ. **შაფაქიძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
- თ. **დალალიშვილი** – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- ა. **ჩაგელიშვილი** – სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

**პოსტულატი:** პანომირ ცენოვი (ბულგარეთი) - შავი, კასპიის ზღვების და შუა აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის პრეზიდენტი, დოქტორი, პროფესორი.

**რედაქტორი:** თამაზ კუნჭულია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**დაიბეჭდა შპს „პოლიგრაფში“  
ტირაჟი 100**

“ნუხშიაც და კახეთშიაც მთვარობამ არაფერი დაჭხოვა, რომ  
აბრეშუმის საქმე და ლვინოსაც კარგად მოემართა და ფეხზე  
დაეყენებინა. მაგრამ მოხელეებმა, რომელსაც ჩააბარეს ეს საქმენი,  
გერცერთმა ვერ გაამართლა იმედი მთავრობისა. ამისთანა საქმეს  
როგორც ახალი სიმდიდრის გახსნა, საქმიანი, მოხერხებული,  
გამარჯვებული საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა: ამისათვის  
საქმარისი არ არის დიპლომი, რომელიც ყოველთვის არ ჰქონდობს,  
რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰქონდოდეს,  
საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა”.

ილია

**თუთა** მრავალმიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით უპირველესია დედამიწაზე მცენარეთა შორის.

**თუთა – მებრეშუმეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია.** მისი უპირველესი დანიშნულებაა მებრეშუმეობის დარგის უზრუნველყოფა საკვები ბაზით, რომელიც განსაზღვრავს მის, როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხეობრივ მაჩვენებელს. მსოფლიო საზოგადოება, საუკუნეთა მანძილზე თანმიმდევრულად იყენებდა თუთის სასარგებლო თვისებების შესაძლებლობებს და უდიდეს წარმატებას მიაღწია სახალხო მეურენობის თითქმის ყველა სფეროში.

ერთი ცნობილი მკვლევარის (გ. სოლმიდუანოვი) თქმით თუთის ნაყოფი ისეთივე აუცილებელია ტაჯიკებისათვის, როგორც ჩინელისათვის – ბრინჯი, რუსისთვის – კარტოფილი. ამ მიმართულებით გამოყენების თვალსაზრისით მდიდარი ტრადიცია არსებობს სამხრეთ საქართველოში (ასპინძა, ადიგენი), მაგრამ სადღეისოდ საკმარისი არ არის.

დღევანდელ ეტაპზე, თუთის უნიკალური თვისებების მრავალმიზნობრივი გამოყენება მეტად აქტუალურია და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ.

შესწავლას დაქვემდებარებულ პრობლემებთან დაკავშირებით შევეხებით მხოლოდ შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციულ საკვებად (“ნეკერი”) გამოყენების შესაძლებლობას, შესაბამისად ტექნოლოგიის შემუშავებას და ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამასთან, სამომავლოდ სამეცნიერო მუშაობის სფეროში იგეგმება თუთის ნაყოფის (განსაკუთრებით “ტრიპლოიდი – 13”), გადამუშავების ტექნოლოგიისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლა (სურ.1).



სურ. 1. “ტრიპლოიდი – 13”-ის მსხმოიარე თუთის ხე.  
(ძლიერ მოზარდი, უხვად ნაყოფმსხმოიარე ჯიშია. ნაყოფი მსხვილი, შავი მომჟავო-  
მოტკბო გემოთი. უთესლოა. რეკომენდებულია საკონსერვო და შოკოლადის  
წარმოებაში გამოსაყენებლად).

ინფორმაცია მეცნიერებაში გაუხეშებული თუთის ფოთლის  
არატრადიციულ საკვებად გამოყენების პრაქტიკის შესახებ ლიტერატურულ  
მასალებში ვერ მოვიძიეთ. მეაბრეშუმეობის ცნობილი სპეციალისტის, ბულგარეთის  
მეაბრეშუმეობის სადგურის დირექტორისა და BACSA-ს პრეზიდენტის პროფ. პ.  
ცენოვის თქმით - “Тема о многоцелевого применения тутовых насаждений очень  
актуальна и мне будет интересно получить больше информации о работах и результатов по  
этой теме в Грузии “ (2014 г.), რაც სასიამოვნო აღიარებაა, თუმცა პრობლემის  
დაწყების პირველი პერიოდი ყოველთვის სირთულებთანაა დაკავშირებული.

მეაბრეშუმეობაში ყოველ 1000 ტ ცოცხალი პარკის წარმოებაზე იხარჯება  
20,0 ათასი ტონა ქორფა ფოთოლი, ხოლო შემოდგომაზე ზრდასრული  
გაუხეშებული ფოთლის საერთო მასა გაცილებით მეტია და უსარგებლოდ  
იკარგება.

შემოდგომაზე გაუხეშებული 20,0 ათასი ტონა ფოთლის 40% რომ  
დაგამზადოთ, მივიღებთ 8,0 ათას ტონა ნედლეულს, რომელიც ტოლფასია (50%) 4,0  
ათასი ტონა მშრალი ნივთიერების ანუ 2,7 ათასი ტონა (0,59) სრულფასოვანი  
საკვები ერთეულის, რითაც დიდად გაუმჯობესდება საკარმიდამო მეურნეობის  
ეფექტიანობაც.

შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთოლი საზრდო ნივთიერებების შემცველობით დიდად აღემატება არა მარტო მდელოს თივის, არამედ თვით სამყურასა და იონჯის შესადარ (20,0 - 22,0%) მაჩვენებელსაც კი.


### ფოთლის (ნებარის) დამზადების

#### და შენახვის ჭრები

შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლის დამზადების დრო და ექსპლოატაციის წესი ისე უნდა შეირჩეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მცენარის გაძლიერება და ფოთლით საგაზაფხულო გამოკვების წარმოების გადიდებაც. მკაფევართა მიერ ჩატარებული მრავალფეროვანი გამოკვლეულების საფუძველზე დადგენილია, რომ:

1. ოპტიმალურია თუთის ჩერულებრივი ცერზე გადაჭრა აბრეშუმის ჭიის გაზაფხულის გამოკვებისათვის, ხოლო შემოდგომაზე (სექტემბრის ბოლო დეკადა - ნოემბერის ფოთოლცვენამდე) - გაუხეშებული ფოთლიდან მეცხოველეობის არატრადიციული საკების დასამზადებლად ექსპლუატაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ ტოტის წლიური ნაზარდი არა ნაკლებ 1,0 მეტრამდე სიმაღლისა დარჩეს მომავალი წლის გაზაფხულის გამოკვებისათვის (სურ. 2); ამით მიიღწევა მცენარეთა გაძლიერება და აბრეშუმის ჭიის საგაზაფხულო გამოკვებისათვის 25%-მდე მატება.

1. წლიური ნაზარდი  
გადაიჭრას 1,0 მ  
სიმაღლეზე ვარჯის  
განტოტვიდან.



2. ტოტზე დარჩენილი  
ფოთოლი შეიძლება  
შეგროვდეს  
ფოთოლცვენის შემდეგ  
ფოცხით.

სურ. 2. შემოდგომაზე თუთის ექსპლუატაციის სქემა.

2. ექსპლოატაცია ტარდება ხელის (ბალის მარატელი) ან ელექტრო ტოტჭრელით (სურ. 3) ყოველწლიურად; შემდეგ წარმოებს ნედლეულის შეგროვება, ჩრდილში შეშრობა და დაბინავება (ძლიერმოზარდი, ნაყოფმსხმოიარე თუთის ჯიშების ნარგაობის ექსპლოატაციის სისტემა შესწავლის პროცესშია).



**სურ. 3. ელექტროტოტმჭრელი “ hs-550” (აგსტრია).**

**3. ერთი ტონა გაუხეშებული თუთის ფოთლიდან მიღებული მუცხოველების საკეთი შეიცავს:**

1. მშრალ ნივთიერებას (85%) – 850 კგ;
2. ნედლ პროტეინს (13,9%) – 139,0 კგ;
3. ნედლ ცხიმს (2,9%) – 29,0 კგ;
4. ნედლ უჯრედანას (24,9%) – 249,0 კგ;
5. უ.ე.ნ. (უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებებს – ნახშირწყლებს) (42,7%) – 427 კგ;
6. მინერალურ ნივთიერებებს (11,5%) – 115 კგ;
7. სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (4,1 %) – 41 კგ.

აგებითი ლირებულებით 1 ტონა გამშრალი თუთის ფოთოლი 590 კგ საკეთ ერთეულს შეიცავს. მისი გამოყენება ცხოველის კეთილმარტინი თავისუფლად შეიძლება. საკეთი თივა 30-40%-ით შეიძლება შეგვევალოთ თუთის ფოთლით მცონავებში; 25-30%-ით ბოცვერის ულუფაში; თხებისა და ცხვრების საკვებად კი თუთის ფოთოლმა შეიძლება 50-60%-ით შეცვლოს თივა. ასევე მშრალი თუთის ფოთოლი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ტბებში თევზის გამოზრდისას (კობრი, საზანი, ამური).

თხებისა და ცხვრების საკვებად კი თუთის ფოთოლმა შეიძლება 50-60%-ით შეცვლოს თივა.


გამშრალი თუთის ფოთოლი შეიძლება შევინახოთ, როგორც ნაყარად, ასევე ტომრებში.

#### **ნეპერისა და თუთის გაუხეშებული ფოთლის გამოყენების წარმატება**

1. მსხვილ რქოსან პირუტებს (მოზარდები, ზრდასრულები) – მცონავებს ნეკერი უნდა მიეცეთ წინასწარ დამბალი და შემდეგ დაკეპილი (სურ. 4), რათა დანაკარგები მინიმუმამდე შევამციროთ. (დალბობის შემდეგ ნეკერის დაჭრა-

დაქუცმაცება აღვილია, აღარ იფშვნება) 1 სულ რქოსანს შეიძლება მივცეთ 2-3 კგ., ცხვრებსა და თხებს – 0,5 კგ.

2. გაუხეშებული შეგროვილი (მოკრეფილი) ფოთოლი, როგორც ფრინველის, ასევე დორს, ცხვარს (თხას), მსხვილ რქოსან პირუტყვს, მოზარდს და ზრდასრულს, ბოცვერს უნდა მიეცეს ქატოსთან, მარცვლოვანთან (დაღერლილთან) ან კომბინირებულ საკვებთან ერთად არეული არა უმეტეს 20% (1 კგ-ზე 200 გრამის ოდენობით).



სურ. 4. ნეპერის საჭრელ-საქუცმაცებელი მოწყობილობა.

უკარგებულ “საკარგიდახო” გეაგრეგატერგაში თუთის მცირე ზომის ნარგაობის  
აიგთვორისებში გამოყენების მიზანების ღონისძიებების და ეკონომიკური  
ეფექტიანობის ზოგიერთი საპირი

საქართველოს მოსახლეობა თუთის ხშირ ნარგაობის ქვეშ ყოველთვის მიმართავდა სიმინდის, სოიოს, ლობიოს, ბოსტნეულის და სხვა შერჩეულ კულტურების მოყვანას, წარმატებით იყენებენ აგრეთვე თუთის ნაყოფს მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოებისათვის.


ფერმერულ მეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური გამოყენების მიზნით საჭიროა თუთის ნარგაობის რიგორურისებრი ისეთი კულტურების მოყვანა, რომელიც არც თუთის ნარგაობას მიაყენებს ზიანს და შედარებით მცირე დანახარჯებით მაღალ მოსავალს მოგვცემს.

თუთის ნარგაობის რიგოშორისების გამოყენება სოფლის მეურნეობის  
სპეციალიზაციის ზონების გათვალისწინებით კულტურების დასათესად  
რეკომენდებულია წმინდა გვონიმიკური თვალსზრისითაც, რადგანაც თუთის

ნარგაობა ფართობის ერთეულზე გაცილებით ნაკლებ შემოსავალს იძლევა ვიდრე ვენახი, ჩაი, ხეხილი და სხვა მრავალწლოვანი ნარგავები.

ფერმერულ მეურნეობებში მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით თუთის ნარგაობის რიგთშორისებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე, რიგთშორისების მანძილზე, ექსპლუატაციის ვადებსა და წესებზე, მორწყვის შესაძლებლობაზე, დასამუშავებელ მანქანებზე და სხვა მრავალ ფაქტორზე (სურ. 5); საერთოდ რიგთშორისებში ძირითადად პარკოსანი კულტურების მოყვანას ურჩევენ.

თუთის რიგთშორისებში პარკოსანი კულტურების მოყვანა განსაკუთრებით ეფექტურია დაგადება “ფოთლის სიხუჭუჭის” გავრცელების ზონაში.



სურათი 5. თუთის საშუალო შტამბოვანი პლანტაციის  
(3X2 გ) რიგთშორისებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების სქემა.


სურ. 5-ის მიხედვით  $500,0 \text{ } \delta^2$  ფართობზე მეცნიელების საკვებში სულ იქნება:

- ა) ნედლი პროტეინი – 56 კგ;
  - ბ) საკვები ერთეული – 248 კგ;
- მიახლოებითი გაანგარიშება:

- 1.ერთი კგ მშრალი ფოთლის საბაზრო ფასი დაახლოებით იქნება (თივის კვებითი ღირებულებით უთანაბრდება ბალახის ფქვილს) - 0,8 ლარი;
- 2.ერთი კგ სოიოს საბაზრო ფასი – 1,5 ლარი;
- 3.ერთი კგ ნამჯა (ჩალა) საბაზრო ფასი – 0,1 ლარი;

სულ მიღებული თანხა შეადგენს:  $(300 \text{ კგ მშრალი ფოთლი} \times 0,8) + (38 \times 1,5) + (38 \times 0,1) = 300,8 \text{ ლარი}$ ;

სულ მიღებული შემოსავალი პარკის ფასთან ერთად იქნება  $300,8+210 = 510,8 \text{ ლარი}$ .



სურათი 6. სიმინდისა და სოიოს შეთქმული ნათესი.

სურ. 6-ის მიხედვით  $500,0 \text{ м}^2$  ფართობიდან მიღიღებთ:

ა) 30 კგ ნედლ პროტეინს და ბ) 431 კგ საკვებ ერთეულს;

**მიახლოებითი გაანგარიშება:**

1. ერთი კგ სიმინდის მარცვლის საბაზრო ღირებულება - 0,45 ლარი;
2. ერთი კგ სიმინდის ჩალის საბაზრო ღირებულება - 0,1 ლარი;

**სულ მიღებული თანხა შეადგენს:**

$$(190 \times 0,45) + (327 \times 0,1) + (10 \times 1,5) + (12 \times 0,1) = 134,4 \text{ ლარი.}$$

**საბოლოოდ, ფერმერი  $500,0 \text{ м}^2$  ფართობიდან მიიღებს:**

- ა) სიმინდი + სოიას ნათესიდან (მარცვალი + ჩალა + ნამჯა) - 431,0 საკვებ ერთეულს (30,7 კგ ნედლი პროტეინი);  
ბ) თუთის პლანტაციიდან (სიმინდის მარცვალი + სოიას თესლი + ჩალა (ნამჯა) + შემოდგომაზე გაუხეშებული ფოთლის (ტოტების) ჩათვლით - 248 კგ საკვებ ერთეულს (56 კგ ნედლი პროტეინი).

(თუთის ჯიში “ტრიპლოიდი 13”-ის გაშენების შემთხვევაში ნაყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად გაზრდის საერთო შემოსავალს).

მიიღება ცოცხალი პარკი  $32-35$  კგ  $\times$  6 ლარი = 192-210 ლარს;

ამრიგად, თუთის ნარგაობით დაკავებული  $500,0 \text{ м}^2$  ფართობის ერთეულზე მიღებული საერთო შემოსავალი შეადგენს  $510,8$  ლარს, ხოლო თავისუფალ ნაკვეთზე სიმინიდის+სოიას შეთესილი  $500,0 \text{ м}^2$  ფართობიდან მიღებულია  $300,8$  ლარი ანუ  $210,0$  ლარით ნაკლები. ე.ი. თუთის პლანტაციის რიგთშორისების გამოყენების შემთხვევაში დაახლოებით **60%-ით აღემატება თავისუფალი ნაკვეთის შესაძარ მაჩვენებელს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერული “საკარმიდამო” მეაბრეშუმეობის განვითარების საფუძველი – სწორედ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა განვითარდეს.

საინტერესო რამდენი დიდი საწარმო უნდა აშენდეს საქართველოში, რომ 10 ათასამდე მუშახელი დასაქმდეს ? ან რამდენი ინგესტიცია იქნება ამისათვის საჭირო? ამაზე უნდა ვიფიქროთ და იმას კი არ უნდა დაველოდოთ, როდის დაარეგულირებს საბაზრო ეკონომიკა ჩვენი უყურადღებობით შექმნილ კრიზისს, არამედ ყველაფერი უნდა გაგაკეთოთ მეაბრეშუმეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება საჯიშე საქმისა და საგრენაჟო წარმოების გაუმჯობესებას.